სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

22 აპრილი, 2024 წელი

ბრძანება N 01-02/48

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2024 წლის საგაზაფხულო მიღების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილების, ,,2024 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსების ვადის დადგენის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 12 აპრილის MES 9240000422938 ბრძანების, ,,2024 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის მიზნით, აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადის დადგენის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 12 აპრილის MES 5240000422943 ბრძანების, ,,2024 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების თარიღის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 12 აპრილის MES7240000421937 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N01-02/11 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2024 წლის 16 აპრილის N432869 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2024 წლის გაზაფხულისათვის გამოცხადდეს მიღება წინამდებარე ბრძანების **N1 დანართით** გათვალისწინებულ ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მსურველთა (აპლიკანტთა) რეგისტრაცია განხორციელდეს **2024 წლის 22 აპრილიდან 16 მაისის ჩათვლით,** ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე - http://vet.emis.ge/ ან/და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მხარდაჭერით - შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15, III სართული, ოთახი N310 (ცხელი ხაზი: 557 364044).

3. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2024 წლის გაზაფხულისათვის მიღების გამოცხადების შესახებ განცხადების მომზადება და წინამდებარე გრძანებასთან ერთად განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - ,,განცხადებები''). მიღების გამოცხადების შესახებ ინფორმაცია ცენტრის მიერ გავრცელდეს ცენტრის გვერდზე სოციალურ ქსელში.

4. გრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'') და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებსა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

5. გრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, იურიდიულ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

6. გრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2024 წლის საგაზაფხულო მიღების გამოცხადების შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 22 აპრილის N 01-02/48 ბრძანების

დანართი 1.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებზეც ცხადდება მიღება 2024 წლის გაზაფხულისათვის (სწავლა დაიწყება 2024 წლის 16 სექტემბერს)

	ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა კრედიტებში		პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა თვეების მიხედვით		მისაღები კონტიგენტი (ადგილების რაოდენობა)	მისაღები კონტიგენტიდან (მათ შორის) ადგილების რაოდენობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის
		ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის		
1	**საფინანსო სერვისები** (III დონე, მოდულური)	52	67	8	11	23	3
2	**ბუღალტრული აღრიცხვა** (V დონე, მოდულური)	99	129	22	27	12	1
3	**მებაღეობა** (IV დონე, მოდულური)	85	115	15	20	17	2
4	**საბიბლიოთეკო საქმე** (IV დონე, მოდულური)	94	124	16	21	17	2
5	**საექთნო განათლება** (V დონე, კოოპერაციული)	180	210	31	37	15	1
6	**აღმზრდელი** (V დონე, კოოპერაციული)	116	146	24	29	22	2
	სულ:					**სულ 106**	**სულ 11**